აღქმა || პერცეფცია - Perception - Восприятие

(ლათ. per+cipio *შევიგრძნობ, შევიცნობ, ვიგებ, შევიმეცნებ, ვეუფლები* →
perceptio *ნაყოფის შეგროვება* → (გადატ.) *შეცნობა, წარმოდგენა)*

ფსიქოლოგიური შემძლებლობა ან სათანადო **აქტუალური განცდა**-ქმედება-პროცესი: **გარე შეგრძნებებით** ერთდროულად მიღებული ძალიან ხანმოკლე **დიფუზური** განცდების გამთლიანება, გარდაქმნა **დიფერენცირებულ**, გარკვეულ განცდად; მისი მოწესრიგება, განაწევრება; ერთმანეთისაგან გამოკვეთა **ფიგურა-ფონისა** [**ფიგურაცია**]. მაგ., მხედველობის შეგრძნებით მიიღება სხვადასხვა ფერებისა და მოხაზულობის მქონე ბრტყელი ლაქების დაქსაქსული განცდები, ხოლო ამ ლაქების გარდაქმნა მწვანე ფოთლების ფონზე წითელ ვაშლებად (გამოკვეთილ სივრცულ **ხატებად**) – **ა**-ის საქმეა. თვალსაჩინო შედარება: ვთქვათ, მუზეუმში ძალიან ახლოდან ვუცქერით იმპრესიონისტულ ფერწერულ ტილოს – დავინახავთ მხოლოდ ფერად ლაქებს; საჭიროა, მოვშორდეთ ტილოს, რათა ჩამოყალიბდეს **ა**-ის ხატი და ტილოზე გამოიკვეთოს სხვადასხვა გამოსახულება.

შეგრძნებისგან განსხვავებით, **ა** უკვე სრულად ფსიქოლოგიური პროცესია. იგი მიმდინარეობს აღქმის (**პერცეპტულ**) **განწყობათა** ზეგავლენით. ამ განწყობათა ნაწილს თანდაყოლილი, **ინსტინქტური** ჩანასახები აქვს [იხ. **თანდაყოლილი გეშტალტ-ხატები**], ნაწილი კი გამომუშავებულია გამოცდილებით და ფიქსირებულია. მაგ. ახლადგამოჩეკილი წიწილა ყოველგვარი გამოცდილების გარეშეც აღიქვამს მარცვლებს, მტაცებელ ფრინველთა მოხაზულობას და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ხატებს. ხოლო ბავშვის მიერ ასოებისა თუ სიტყვების **ა**-ს ხანგრძლივი გამოცდილება სჭირდება [იხ. აგრეთვე **განწყობა**].

ა-ის პროცესში ერთდროულად მონაწილეობს რამდენიმე გარე შეგრძნება და ერთმანთზე ზემოქმედებს. მაგ., ადამიანისთვის წამყვანია მხედველობა (ხოლო ძაღლისთვის – ყნოსვა); მაგრამ ადამიანის მხედველობითი ხატების ჩამოყალიბებაზე ხშირად ზეგავლენას ახდენს სმენით ან შეხებით მიღებული შთაბეჭდილებანი. მაგ., ერთიდაიგივე ბუნდოვანი ლაქა აღიქმება ან წყლად (თუკი ისმის ჩუხჩუხი), ან მანქანის ნაწილად (თუკი ისმის რახრახი). ჩვილისთვის ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. მისი მყარი (მზა) მხედველობითი ხატების ჩამოყალიბება (და, ესე იგი, აზროვნების შემდგომი

განვითარება) პირდაპირაა დამოკიდებული ნივთების ტაცება-ტრიალ-რტყმა-სინჯვაზე, სენსომოტორულ აქტიურობაზე [იხ. ინტერმოდალური კავშირები].

თავისთავად Ѧ პასიურია, მხოლოდ ასახავს გარემოს. მაგრამ თუკი აქტიურ ყურადღებას დაუკავშირდა, მაშინ ის აქტიური ხდება = მიზანმიმართული აღქმა: დაკვირვება, თვალიერება, მოსმენა, დაგემოვნება, ესთეტიკური შეხება. ამათ, ჩვეულებრივი Ѧ-ისგან განსხვავებით, საკუთარი მოთხოვნილება აქვს და ამიტომ ქცევის ფორმებია.

აღქმული გამოსახულება ყოველთვის მთლიანობითია. ესე იგი ის არაა მიღებული ნაწილების გაერთიანებით. ნაწილები მხოლოდ შეგრძნების დონეზეა, ხოლო შეგრძნების მასალის აღქმისეული გადამუშავებისას პირველადვე მთლიანი ხატი მიიღება – და არა ნაწილები; მთლიანი განსაზღვრავს ნაწილებს – და არა პირიქით. Ѧ-ისეული ხატი ყოველთვის (დაბალგანვითარებული ცხოველის დონეზეც) მთლიანობითია [იხ. გეშტალტიზაცია]. გეშტალტურობის გარდა, Ѧ-ის მთავარი თვისებებია კონსტანტობა და კატეგორიზაცია.

Ѧ შემეცნების პირველი ნაბიჯია, ადამიანის შემეცნება შემდეგ აზროვნებით გრძელდება.

გავრცელებული შეცდომაა ტერმინის „აღქმა“ აღრევა ტერმინში „აღთქმა“ (აღთქმა – ესაა ზნეობრივი ან სარწმუნოებრივი პირობის დადება, შეთანხმება).